

განმარტებითი ბარათი

“უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ მასში აღინიშნება:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის შემუშავების მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ “უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონით მკაცრად არის განსაზღვრული უცხოელთა საქართველოში ყოფნის ვადები. ამ ვადების მიხედვით, უცხოელის (თუ ის არ სარგებლობს ბინადრობის ნებართვით) საქართველოში უწყვეტი ყოფნის ვადა არის სამი თვე. სამი თვის შემდეგ უცხოელი ვადდებულია დატოვოს საქართველოს ტერიტორია და შემოვიდეს ხელახლა, ხოლო საქართველოს ერთწლიანი ვიზით გათვალისწინებული მაქსიმალური ყოფნის ვადა შეიძლება იყოს მხოლოდ 180 დღე. ასევე, უცხოელს, რომელიც კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვიდან 3 თვეზე მეტ ხანს უკანონოდ იმყოფება საქართველოში, უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი ჯარიმის გადახდის შემთხვევაში დატოვოს საქართველოს ტერიტორია, მაგრამ მასზე ერთი წლის განმავლობაში არ გაიცემა საქართველოს ვიზა და საქართველოში შემოსვლის ნებართვა. კომიტეტის აზრით აღნიშნული შეზღუდვები არამართებულია, ვინაიდან უნდა არსებობდეს უცხოელთა საქართველოში შემოსვლა-გასვლის უფრო მარტივი რეჟიმი, ხოლო იმ უცხოელებს, რომლებიც გადაიხდიან ჯარიმას ქვეყანაში სავიზო რეჟიმის დარღვევისათვის არ უნდა შეეზღუდოს საქართველოში შემოსვლის უფლება განსაკუთრებული შემთხვევების გარდა.

ასევე, კანონპროექტის შემუშავების მიზეზი არის “უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონის მოქმედების პერიოდში გამოვლენილი იმ იურიდიული საკითხების გათვალისწინება, რომლებიც აუცილებელია კანონის გამართული მოქმედებისათვის.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიღების მიზანია აღმოფხვრას „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზები და სათანადოდ იყოს დაცული საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების ინტერესები და უფლებები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ უქმდება უცხოელებისათვის საქართველოში ყოფნის ვადების შეზღუდვები. ვიზის მიღების შემდგომ უცხოელებს, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე აღარ შეეზღუდებათ საქართველოში ყოფნის ვადა ვიზის მოქმედების ვადის განმავლობაში. შესაბამისი ცვლილებები შედის კანონის მე-9 მუხლში.

ასევე, უცხოელს რომელმაც საქართველოში სავიზო რეჟიმის დარღვევისათვის გადაიხადა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა, მიეცემა საქართველოში შეუფერხებელი შემოსვლის ნებართვა, ხოლო საქართველოდან გაძევებულ უცხოელს უნარჩუნდება უკანონოდ ყოფნისათვის დადგენილი ჯარიმის გადახდის ვადდებულია. შესაბამისი ცვლილება შედის კანონის 61-ე მუხლში.

საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძვლებს შორის გათვალისწინებულია ლტოლვილის მოწმობა. შესაბამისი ცვლილებები შედის კანონის მე-4 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში ყოფნის ნებართვის სახეებს. საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძვლად ლტოლვილის მოწმობას ადგენს კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-16 მუხლი პირველი პუნქტის ახალი რედაქცია. ასევე, მე-16 მუხლს ემატება ნორმა, რომლის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ან ლტოლვილის მოწმობის მფლობელი უცხოელები, ბინადრობის ნებართვის (ლტოლვილის მოწმობის) მოქმედების მთელ პერიოდში, საქართველოში შემოდიან და საქართველოდან გადიან ვიზოდ.

დროებითი და მუდმივად ბინადრობის ნებართვებთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-19 მუხლის, მე-10 მუხლის “ა” და “ბ” ქვეპუნქტების, 23-ე მუხლის “ე”, “ვ” და “ი” ქვეპუნქტების ახალი რედაქციები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება. მასში აღინიშნება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებლებს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორებია საქართველოს პარლამენტის წევრები კონსტანტინე გაბაშვილი და ლევან ბეჟაშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები კონსტანტინე გაბაშვილი და ლევან ბეჟაშვილი.

